საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1211 2016 წლის 23 ივნისი ქ. თბილისი

შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, შპს „საქართველოს მელიორაციამ“ სატუმბი სადგურების სამშენებლო (ხანდაკი-მეტეხი და სასირეთის მექანიკური აწევის სარწყავი სისტემის, სატუმბო სადგურისა და სადაწნეო მილსადენის მოწყობა) და სარეაბილიტაციო (კავთისხევის მექანიკური სარწყავი სისტემის №3 სატუმბი სადგური, მაგისტრალური არხი და I რიგის გამანაწილებლები) სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი